ირაკლი კაკულიას სასამართლომ უფლებამოსილება შეუჩერა

გვ. 2

ნაციონალები ახალ ძალებს იკრებენ

გვ. 2

ბრძოლა სკამებისთვის თუ ნეპოტიზმი სენაკის გამგეობაში?

გვ. 3

ეთვალი თვალ საკვირველი

fasi 50 TeTri # 2 3-10 Tebervali 2014 weli gamodis samSabaTobiT

ქალბატონებო გილოცავთ 3 და 8 მარტს

ექიმების პროტესტი და ალდაგის მიერ შელახული უფლებები

რას გადააყოლეს ფოთის საავადმყოფოს მთავარი ქირურგ- ანესთეზიოლოგი გოდერძი სარჯველაძე?

გვ.3

სემეკის გადაწყვეტილება- რატომ გაძვირდა ბუნებრივი აირის მონტაჟი და რას ნიშნავს სოციალური და კომერციული გაზი?

გვ. 4

აქ თქვენი რეკლამის და

მცირე განცხადებების ადგილია

ფოთში ახალაშენებულ 7 კორპუსში მალე 280 ოჯახი დასახლდება

მიმდინარე წლის 20 თებერვალს დაიწო და 20 მარტამდე გასტანს ფოთში დევნილთა აპლიკაციების შევსება ახალ რაიონში მშენებარე 7 კორპუსის მომავალ მობინადრეთა სიების შესადგენად. ბინების მიღების მსურველი დევნილები ავსებენ აპლიკაციებს, რომლის მიხედვით გაირკვევა თუ რამდენი მათგანი მიიღებს საცხოვრებელ ფართს. კრიტერიუმები განსაზღვრული არ არის და აპლიკაციის შევსება ყველა უბინაო დევნილს შეუძლია სამეგრელოს ნებისმიერი რაიონიდან. ძირიტადად გათვალისწინებული იქნებიან ომში დაღუპულთა ოჯახები, მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, არ აქვს მნიშვნელობა სად ცხოვრობენ ისინი კერძოდ თუ კომპაქტურ ჩასახლებაში. კიტხვარში შეტანილია ოჯახის სოცილაური სურათის ამსახველი კითხვები, თუ რამდნეია ოჯახის თვიური შემოსავალი, რამდენს იხდიან თვეში კომინალურ გადასახადებს და სხვა. ამის მიხედვი|თ ოჯახებს მიენიჭება ქულები. რასაც მოიკვლევს შემდეგ სააპლიკაციო ჯგუფი, მაღალქულიანები გადმოეცემა ისევ აღმრიცხავ კომისიას, რამდენად მართალია რესპოდენტი მოხდება გადამოწმება. თუ აპლიკაციაში ჩაწერილი გადამოწმების შემდეგ დადასტურდება აპლიკანტი მიიღებს ბინას, არ არის განსაზღვრული ბინის მიმღები ქულა. როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამეგრელო- ზემო სვანეთის და აჭარის რეგიონის სამხარეო სამმართველოს მთავრმა სპეციალისტმა, გელა ნაჭყებიამ გვითხრა: “ბინის მიმღები კრიტერიუმი დადგენილი არ არის, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე რამდენი ბინა გვაქვს და რამდენი მოვა მაღალქულიანი, ბინა შეიძლება 4, 10, 12 ქულიანმა, მაგრამ ვერ მიიღოს 8 ქულიანმა. ეს არის სხვადასხვა ფაქტორებზე დამოკიდებული. ომის ვეტერანებს თავსი ქულა ენიჭება, ეს არ ნიშნავს რომ ყველაზე გაჭირვებულია.”

ბინების გადაცემის ზუსტი ვადები ჯერჯერობით დადგენილი არ არის, სავარაუდო დროდ მაისი სახელდება. აპლიკაციების მისაღებად ფოთში უნდა ჩამოსულიყვნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები, თუმცა ამ დრომდე მხოლოდ ერთი სპეციალისტი მუშაობს . რაც შეეხება იმ დევნილებს,

დასასრული მე-2 გვ.

gamomcemeli da direqtori
inga gvasalia -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
elza Sonia -
598 622 807

სტილისტ-კორექტორი -
maia CxeiZe -
591 145 709

დისტრიბუციის სამსახურის უფროსი
inga WiTanava
597 39 19 72

კორესპონდენტები:
Teona janaSia (senaki)
592 61 33 14
giorgi seskuria (zugdidi)
555 14 76 24
ana SongiraZe (Cxorowyu)
599 88 97 17

gamoqveynebuli masalis Sinaarsi SeiZleba ar emTxveodes redaqciis Tvalsazriss. Statiis avtorebi Tavad ageben pasuxs informaciis sizusteze. redaqciaSi audio masalebi inaxeba ori kviris ganmavlobaSi, am vadis gasvlis Semdeg pretenziebi ar miiReba.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშ-

ნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ექსპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმარტ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -1,78 ლარი ღირს, ერთი ევრო - 2,4 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

ნაციონალები ახალ ძალებს იკრებენ

ელზა შონია
ფოთი

27 თებერვალს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციაში პრაიმერის სისტემით შიდა კონფერენცია გაიმართა. დელეგატებმა საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ ვახტანგ დარცმელიძე და პოლიტსაბჭოს შვიდი წევრი აირჩიეს. კონფერენციას ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი თენგიზ გუნავა და ფოთის ყოფილი მერი და ამჟამად უკვე პარლამენტარი, ჩხოროწყუს მაჟორიტარი ვახტანგ ლემონჯავა. მათ სიტყვით მიმართეს შეკრებილ საზოგადოებას და წარადგინეს კანდიდატები. მომდევნო ორი წლის განმავლობაში არჩეული შემადგენლობა უხელმძღვანელებს ფოთელ "ნაციონალებს": ვახტანგ დარცმელიძე, კახა გუგუჩია, გიორგი ფირცხალავა, გიორგი შამუგია, ნინო მჭედლიშვილი, დარეჯან ცხვიტარია, ირაკლი ჭანტურია და ზურაბ კაპანაძე. ნაციონალების სამომავლო გეგმები შიდა პროექტების განხორციელებაზეა გათვლილი. როგორც ვახტანგ დარცმელიძემ გვითხრა: " ბევრი პროექტი გვაქვს, ახალგაზრდებისთვის, ვინც შემოგვიერთდება ყველასთვის იქნება, ეს არის სასიამოვნო პროექტები როგორც გასართობი, ისე შემეცნებითი. სხვა სერიოზული ცვლილებები არ იქნება, მხოლოდ მიდგომა იქნება სხვანაირი, განსხვავებით წინა წლებისა, დაფასებული იქნება ჩვენი მხარდაჭერები, არ იქნება კომუნიკაციის პრობლემა ჩვენთან ნებისმიერი ფოთელისთვის. აქედან გამომდინარე ჩვენი კარი ღია იქნება ყველასთვის".

როგორც გავარკვიეთ ადგილობრივი არჩევნებისათვის პიარ კამპანია ნაცმოძრაობას ჯერ არ დაუწყია. მთელი ქვეყნის მასშტაბით ყალიბდება ახალი საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალები ახალ ძალებს იკრებენ.

ირაკლი კაკულიას სასამართლომ უფლებამოსილება შეუჩერა

ელზა შონია
ფოთი

4 მარტს ფოთის საქალაქო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია თვითმმართველობის გადაწყვეტილება - ირაკლი კაკულიას ფოთის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ და მას შეუჩერა უფლებამოსილება. სასამართლოს ამ გადაწყვეტლებით ფოთის თვითმმართველობა ისევ მესამე ვიცე მერის გარეშეა დარჩენილი. თუმცა ეგ არახალია, თვითმართველობა რამდენიმე წელია ხან მერის, ხან კი მისი მოადგილეების ძიებაშია.

შეგახსენებთ, რომ 20 თებერვლიდან კოალიცია "ქართული ოცნების" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ირაკლი კაკულია ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვასილ თოდუას მოადგილე გახდა. მეოთხე ვიცე მერის შტატის დამატების საკითხი კარგა ხანი განიხილებოდა ფოთის მერიაში. იმასაც კი ამბობდნენ, რომ ეს შტატი საგანგებოდ ირაკლი კაკულიასთვის იქმნებოდა, მაგრამ საბოლოოდ მერიის მიერ საკრებულოსათვის ჩაგზავნილი პროექტი დაიწუნეს და საშტატო ერთეულის დამატების საკითხი საკრებულომ არ მიიღო. ვასილ თოდუამ როგორც განგვიცხადა, მეოთხე შტატის დამატების აუცილებლობა იქმნებოდა გაზრდილი საბიუჯეტო თანხების განკარგვისა და კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისათვის. საკრებულომ ცვლილებას მხარი არ დაუჭირა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კაკულიას ვიცე მერად დანიშვნა მოგვიანებით მაინც მოხერხდა და ამ ბრძანებას ვასილ თოდუამ ხელი მოაწერა. როგორც მერის მოვალეობის შემსრულებელი განმარტავს, კაკულია ამ თანამდებობაზე შეირჩა, რათა აღმასრულებელ ხელისუფლებაში სახელისუფლებო პარტიის ლიდერები უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილნი. მომავალ კვირას, საბოლოოდ გადანაწილდება ვიცე მერების ფუნქციები და მოვალეობები. ამჟამად ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებელს სამი მოადგილე ჰყავს — დავით ხომერიკი, ლაშა კუპრეიშვილი და ირაკლი კაკულია. ვიდრე თოდუა მერის მოვალეობის შემსრულებელი გახდებოდა, მერის მოადგილე გახლდათ და ახლა სწორედ ამ ადგილს იკავებდა კაკულია. საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ბაბუილუამ ვასილ თოდუა მერის მოადგილის თანამდებობიდან რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლა. ეს ფაქტი არასამთავრობებმაც გააპროტესტეს და უკანონო უწოდეს. სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე მარინა წულეისკირი როგორც ამბობს: "დავით ბაბილუამ ვასილ თოდუა მერის მოადგილის თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლა, ვიცე მერის გაშვების უფლება მხოლოდ მერსა და გამგებელს აქვს".

არჩილიამ ტაბაღუას განცხადება დააკმაყოფილა

თეონა ჯანაშია
სენაკი

ისევე როგორც მთელ საქართველოში შეჭირვებულთა და უმუშევართა რიცხვი კატასტროფულია და ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგაც ჯერჯერობით დიდად სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. ინგა ტაბაღუა ერთ-ერთი მათგანია. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „2010 წლიდან მაქვს მურმან არჩილიასთან განაცხადი შეტანილი, მაგრამ აქამდე არავითარი რეაგირება არ ყოფილა. შეიცვალა ხელისუფლება და მორიგი განაცხადი შევიტანე არჩილიასთან 5 დეკემბერს, ხოლო გამგეობაში - 25 დეკემბერს. როგორც გამგეობაში მითხრეს, უნდა ვაკმაყოფილებდე სამ კატეგორიას - ან დევნილი უნდა ვიყო, ან შეჭირვებული და სპეციალობის მქონე, რომ რომელიმე საბავშვო ბაღში დავიწყო მუშაობა. სამივე კატეგორიას ვაკმაყოფილებ. 16 000 ქულა მოგვანიჭეს, როგორც შეჭირვებულ ოჯახს. ინტერნატის ბინებში ვცხოვრობთ, ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს. მეუღლეც უმუშევარია, თან უმეტესად სოფელშია, ავადმყოფ დედას უვლის. ძალიან გვიჭირს ფინანსურად. გამგებელმა შემომთავაზა სოფელ ზანაში მუშაობა, მაგრამ ამ სამსახურში 80 ლარია ხელფასი და ნახევარი გზაში დამეხარჯება, თან ბავშვებსაც ვერავის დავუტოვებ. გამგებელის რჩევით, არჩილიას მივმართე, მაგრამ არაფერი გამოდის. დამხმარე მასწავლებლად მინდა ვიმუშაო ან ძიძად. მთავარ მასწავლებლობაზე არასოდეს მქონია პრეტენზია და მაინც, ამდენი წელია ჩემთვის არანაირი სამსახური არ გამოჩდა. მაქვს მუსიკალური განათლებაც ცეკვაც მეხერხება».

ჩვენი რესპონდენტის პრობლემით მივმართეთ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორს მურმან არჩილიას, რომელმაც გვითხრა, რომ ვერ დაუკავშირდა ტაბაღუას, რადგან განცხადებაში მითითებული არ იყო მისი ტელეფონის ნომერი. საქმე იმაშია, რომ არჩილიამ უკვე დააკმაყოფილა ინგა ტაბაღუას განცხადება და იგი ქალაქის №4 საბავშვო ბაღში დაასაქმა.

ფოთში ახალაშენებულ 7 კორპუსში მალე 280 ოჯახი დასახლდება

დასაწყისი პირველ გვერდზე

რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ აპლიკაციის შესავსებად გამოცხადება, ოჯახის წევრმა უნდა გააკეთოს ამის შესახებ განაცხადი და სამსახურის წარმომადგენლები მივლენ ბინაზე, სხვა შემთხვევაში კი აპლიკაციის შესავსებად სავალდებულოა დევნილთა სამსახურში გამოცხად-დეს ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი.

ადგილზე მისულებს შემდეგი სურათი დაგვხვდა; დევნილთა სამსახურის ფოიე მომლოდინე ხალხით არის გადაჭედილი, ხოლო ოთახამდე შესასვლელ კართან დაცვაა მობილიზებული, ერთი ადამიანი კი სიით ხელში დადის, სია საკმაოდ გრძელია, ხოლო იმედი, რომ დღეს მაინც მოუწევთ ჩაკეტილ კარს მიღმა მოხვედრა ძალიან ცოტაა. ჩვენ, როგორც ჟურნალისტებმა შევაღწიეთ ოთახში, სადაც აპლიკაციების შევსებაზე უკვე სამინისტროს ოთხი წარმომადგენელი მუშაობს, თუმცა კომენტარისგან თავი შეიკავეს და გვითხრეს, რომ პრესცენტრს დავკავშირებოდით. რაც შეეხება ადგილობრივ კადრებს, რომლებიც მერიის დევნილთა სამსახურში მუშაობენ აპლიკაციების შევსებაში არ რთავენ, როგორც აგვიხსნეს, ეს სამინისტროს პრეროგატივაა და მერიამ მათ მხოლოდ შენობა ათხოვა. ჩვენ გავესაუბრეთ რიგში მდგომ დევნილებს:

naira, 35 wlis: აფხაზეთიდან დევნილი ვარ, მესამე დღეა რიგში ვდგავარ, ძალიან ნელა მიდის რიგი, ძალიან დავიღალეთ.

lali, 45 wlis: ფოთში ვცხოვრობთ, ვართ აფხაზეთიდან დევნილი, ორი დღეა რიგში ვართ, ვერ შევედით.

gigla, 47 wlis: სამი დღეა რიგებია, ხალხი ძალიან გადაიღალა, იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი ემსახურება ამდენ ხალხს, მხოლოდ დღეს ჩამოვიდნენ წარმომადგენლები სამინისტროდან და ცოტა გვეშველება ალბათ.

გავრცელებული ინფორმაციით, აპლიკაციების შევსება 20 მარტის შემდეგაც იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ როგორც გავარკვიეთ, არავითარი მეორე ეტაპი არ იქნება და აპლიკაციების შევსება უნდა დასრულდეს მითითებულ ვადაში - 20 მარტს.

ექიმების პროტესტი და ალდაგის მიერ შელახული უფლებები

რას გადააყოლეს ფოთის საავადმყოფოს მთავარი ქირურგ- ანესთეზიოლოგი გოდერძი სარჯველაძე?

ელზა შონია
ფოთი

რამდენიმე დღის წინ, ფოთის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათი პროტესტის მიზეზი არახელსაყრელი სამუშაო პირობები, შელახული უფლებები და დაგვიანებული ხელფასებია. ადგილობრივი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ექიმმა-ანესთეზიოლოგმა გოდერძი სარჯველაძემ ღიად გამოხატა უკმაყოფილება საავადმყოფოს მეპატრონე კონპანიის მიმართ და აქ შექმნილ რთულ ვითარებაზე ისაუბრა. ინტერვიუს გასვლიდან რამდენიმე დღეში სარჯველაძე და მისი მეუღლე,რომელიც ასევე ფოთის საავადმყოფოში მუშაობდა, დაცვამ შენობაში არ შეუშვა და ისიც დაცვამ შეატყობინა (?), რომ ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს. სარჯველაძე ბრძოლას განაგრძობს და უკანონო განთავისუფლების გამო პროკურატურაში სარჩელის შეტანას გეგმავს.

ფოთის ცენტრალური საავადმყოფოს აქტივები 2011 წლიდან გადაეცა კომპანია "ალდაგს" და "ჩემი ოჯახის კლინიკას". გასული წლის გაზაფხულზე საავადმყოფოს ექიმებს შეხვდა ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, რომელმაც პრეტენზიების გამომხატველ ექიმებს სიტუაციის ზედმეტი დრამატიზება დააბრალა, მაგრამ პრობლემების მოგვარებას დაპირდა, თუმცა სიტუაცია აქ დღემდე არ შეცვლილა. 40 საწოლიან საავადმყოფოს არ გააჩნია რენტგენის აპარატი, გასტროსკოპი და სხვა აუცილებელი პროცედურების ჩასატარებელი აღჭურვილობა. ღამით არ ჰყავთ საკმარისი მორიგე მედდები და ამ ფუნქციას ხშირად ითავსებენ ექიმები. როგორც ისინი ჰყვებიან, ნოემბრის ხელფასი ახლახანს მიიღეს. საავადმყოფოში მოქმედებს ე.წ შიდა ბრძანება, რომლის თანახმად, ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს 4 თვის განმავლობაში არ გასცეს პერსონალზე ხელფასი, რაც ცალსახად კანონდარღვევაა. ამის მიზეზად ადმინისტრაცია საკმარისი თანხების უქონლობას ასახელებს. მარტი-აპრილიდან საავადმყოფო უნდა ჩაერთოს საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში, მანამდე კი გაწეული მომსახურების საზღაურს 4 თვის შემდეგ ურიცხავენ, ხოლო თანხები, რასაც ექიმებისთვის იხდის სადაზღვევო კომპანია, ძალიან მიზერულია. მაგალითად, პაციენტის მიერ მომსახურებაში გადახდილი 50 ლარიდან ექიმს ერიცხება 3 ლარი და 50 თეთრი. ისინი ამტკიცებენ, რომ თუ ყველა მომსახურებას რეალური ფასი დაედება, ეს პაციენტისთვისაც კარგი იქნება და ექიმისთვისაც, თუმცა, როგორც ჩანს, მეპატრონისთვის ასეთი მიდგომა მიუღებელია. "არ გვაქვს არანაირი პირობა, რომ მივიღოთ პაციენტი, საავადმყოფოში არ არის რენტგენის აპარატი, ვერ ვაკეთებთ კომპიუტერულ დიაგნოსტიკას, გავუკეთებთ ანალიზს, დავადგენთ ამით რაღაც გარკვეულ დიაგნოზს, თუმცა საბოლოოდ პაციენტი მაინც მიდის სხვაგან, იქაც იგივე მომსახურებისთვის მეორედ იხდის თანხას. ეს ამ კლინიკების მეპატრონეებს აწყობთ, რადგან ყველა კლინიკა ერთ ქსელში ერთიანდება, პაციენტი ორმაგად ზარალდება, თვითონ კი ორმაგ მოგებას იღებენ" - გვითხრა ექიმმა გოდერძი სარჯველაძემ.

საავადმყოფოში არსებულ დარღვევებზე საუბრობს ასევე ქირურგი გოგი მელიქია: "ძალიან ბევრ დარღვევას აქვს ადგილი ჩვენთან. გრიპის ინფექციით ხუთი ადამიანი გარდაიცვალა სამტრედიაში, ეპიდემიის საშიშროება არსებობს, ჩვენთან კი ნორმები საერთოდ არ არის დაცული. ერთ დერეფანშია ქირურგია, თერაპია და ბავშვთა განყოფილება, რაც დაუშვებელია. ვირუსიანი ბავშვები ქირურგიის გავლით მიჰყავთ სამკურნალოდ. ქირურგიაში გაათავისუფლეს პალატები და ვირუსიანი ბავშვები დააწვინეს, წესების იგნორირება არ შეიძლება, ორი სართული ცარიელია და ასე ერთად ყველა პაციენტის დაწვენა არანაირად არ შეიძლება. არავინ არ კითხულობს ამას. ხელფასებს რაც შეეხება, ეს არის დაცინვა, მაგალითად თუ გავაკეთე 2 500 ლარიანი ოპერაცია ას ლარამდე თანხა ერიცხება ექიმს. გვითხრეს - შიდა ბრძანებაა, რომლის მიხედვით 45 დღეში გვაძლევენ ანაზღაურებას. აქ გაჩერების სურვილი აღარ მაქვს, მაგრამ ამ საქმეს შევალიე მთელი ცხოვრება, ბოლოსდაბოლოს ჰიპოკრატეს ფიცი მაქვს დადებული. შეურაცხყოფილი და გალანძღულები ვართ".

ასეთი მიდგომა მედპერსონალის მიმართ უმოკლეს დროში თუ არ შეიცვალა, შესაძლოა, მალე ყველა კლინიკა ექიმის გარეშე დარჩეს. დაზარალებული ამ შემთხვევაში ყველა მხარე იქნება, რადგან ექიმი ადრე თუ გვიან ყველას შეიძლება დასჭირდეს,მათ შორის იმათაც,ვინც მხოლოდ საკუთარი მოგებისათვის ცდილობს და სხვების ბედი ნაკლებად, ან საერთოდ არ აღელვებს.

ბრძოლა სკამებისთვის თუ ნეპოტიზმი სენაკის გამგეობაში?

თეონა ჯანაშია
სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიაში მიმდინარე პროცესებისაგან განსხვავებით, არავითარი ატესტაცია და კონკურსი არ ჩატარებულა. გამგებელი ერთპიროვნულად ახორციელებს საკადრო ცვლილებებს. მოსახლეობაში გავრცელებული ინფორმაციით, გამგებელი თანამდებობებზე ან ნაციონალებს ნიშნავს, ან თავის ახლობლებს და ნათესავებს, ან კიდევ „მნიშვნელოვანი ზარის" მიხედვით. მოკლედ, ყველაფერი ისევ ისეა, როგორც წლების განმავლობაში. არავითარი ცვლილება თვითმმართველობაში საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით არ ხორციელდება. როგორც ამბობენ, ნიჭიერ და განათლებულ ადამიანს, რომელსაც აქვს სურვილი თავისი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინოს საჯარო სამსახურში, არავითარი შანსი არ ეძლევა. აუცილებლად ან გამგებლის ახლობელი უნდა იყოს, ან ყოფილი და დღემდე ნაციონალი მაინც. არადა, გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა, რომ არასოდეს ყოფილა ნაციონალური მოძრაობის წევრი. სწორედ ამაზე იტყოდნენ ჩვენი ჭკვიანი წინაპრები -„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო!" თან გამორიცხულია, მის დოსიეს გადახედო და კითხვა არ გაგიჩნდეს. მან თქვა, რომ წინა ხელისუფლების დროს მუშაობდა თბილისში კონტროლის პალატაში და ასევე, პარალელურად, იდგა „კარვების" აქციაზე. დასკვნა თავად მკითხველისთვის მოგვინდვია, რომელსაც არც ისე მოკლე მეხსიერება აქვს,. გამგებლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო საზოგადოების ერთი ნაწილი ჩვენთან საუბრისას სვამს კითხვას (შეიძლება ითქვას არც ისე უსაფუძვლოს) - შესაძლებელი იყო თუ არა, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ასეთი პოზიცია ჰქონოდა თანამდებობის პირს და ის დარჩენილიყო ამ თანამდებობაზე.

კულუარული ინფორმაციით, შიგნით, გამგეობაშიც დიდი უკმაყოფილებაა მიმდინარე საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, გამგებლის უკვე ყოფილი მოადგილე კულტურისა და სპორტის საკითხებში ვეფხვია ვეფხვაძე წინააღმდეგი იყო თანამდებობა დაეტოვებინა, მაგრამ როგორც თავად გვითხრა, ის უკვე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსია და გამგებლის მოადგილის თანამდებობა დატოვა. მის ნაცვლად კი ამ თანამდებობაზე ნატო ფულარია ინიშნება, რომელიც როგორც ამბობენ, ახლანდელი გამგებლის ყოფილი თანამშრომელია. რაც შეეხება ნატო ფულარიას, ის უკვე საჯარო რეესტრში აღარ მუშაობს და მის ყოფილ სამსახურში მოკლედ გვიპასუხეს - „ფულარია გამგეობაში გადავიდა". არის თუ არა ფულარია გამგებლის ყოფილი თანამშრომელი და ახლობელი, ამის დასაზუსტებლად ვეცადეთ მასთან დაკავშირებას, მაგრამ,ის ჩვენს ზარებს არ პასუხობს.

გამგებელს უკვე თვეზე მეტია ჰყავს ახალი მოადგილე ჯუმბერ ლაშქარავა, რომელიც ადრე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობასაც ითავსებდა, თუმცა, ბოლომდე არც იყო გარკვეული, რა შედიოდა მის ფუნქციებში. იმასაც ამბობენ, რომ მოსალოდნელია გამგეობაში ახალი შტატების დამატება.

რა კრიტერიუმებით არჩევს გამგებელი თანამდებობის პირებს „შინ და გარეთ", ნამდვილად გაურკვეველია. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ კლინიკა „არქიმედეს" ახალი ხელმძღვანელი გამგებლის ბიძაშვილია.

ჩვენ აქტიურად მივადევნებთ თვალყურს გამგეობაში მიმდინარე საკადრო ცვლილებებს. ხალხი, ამომრჩეველი ყველაფერს ხედავს. მით უმეტეს, სენაკი პატარა ქალაქია და ყოველგვარი სიახლე ხელის გულზეა და ელვის სისწრაფით ვრცელდება. მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნების წინ როგორც დანარჩენ საქართველოში ჩვენს ქალაქშიც "დიდი ბრძოლებია" მოსალოდნელი. საკითხავია ვინ ვის და არის თუ არა ამ სკამებისათვის ბრძოლაში სადმე ხალხის ადგილი?

სემეკის გადაწყვეტილება- რატომ გაძვირდა ბუნებრივი აირის მონტაჟი და რას ნიშნავს სოციალური და კომერციული გაზი?

ელზა შონია
ფოთი

რამდენიმე დღის წინ ფოთელმა მოსახლეობამ ბუნებრივი გაზის შეყვანის ფასების მომატების შესახებ შეიტყო, ხალხის უკმაყოფილებას იწვევს ის რომ გაზის განვადებით და ხელზე ფულის გადახდის შემთხვევაში თანხებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია, მაგალითად განვადებით ერთი წერტილის მონტაჟი 600 ლარი ჯდება, ხოლო ხელზე ფულის გადახდის შემთხვევაში 450 ან შეიძლება ნაკლებიც. ამ საკითხების გასარკვევად "სოკარ ჯორჯია გაზის" ფოთის წარმომადგენლები ზუგდიდში იმყოფებოდნენ, თუმცა ამ შეკრებით დიდი ცვლილება სემეკის გადაწყვეტილებაში არ შესულა. ერთადერთი შეღავათი მოსახლეობისთვის ისაა, რომ დამატებითი წერტილების შეყვანის თანხა შესაძლებელია დაემატოს განვადებას, ანუ გაკეთდეს განვადებით ორი, სამი და მეტი წერტილიც.

მიმდინარე წლის 23 იანვრის დადგენილებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ შეიტანა ცვლილებები "ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ" 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებაში, სადაც აღწერილია ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებში შესული აუცილებელი და დამატებითი ცვლილებები. მე-19 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგნაირად: „შესაბამისი განაცხადის მიღების შემთხვევაში განაწილების ლიცენზიანტი ვალდებულია უზრუნველყოს ახალი საყოფაცხოვრებო მომხმარებლის გაზიფიცირებულ ქსელზე მიერთება და ამ ახალი მომხმარებლის საცხოვრებელ სადგომში ბუნებრივი გაზის მიღების ერთი წერტილის მოწყობა, მომხმარებლის მიერ მითითებულ ადგილზე. აღნიშნულის შესასრულებლად განაწილების ლიცენზიატი ანუ კომპანია, უზრუნველყოფს ყველა საჭირო სამუშაოსა და ხარჯს (სრულ ტექნოლოგიურ ციკლს.) მათ შორის გამანაწილებელი ქსელის გაყვანას, საშუალებების შეძენას, მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებს, მის შესრულებასთან დაკავშირებულ თანხმობის ან ნებართვის მოპოვებას და ყველა საჭირო მოქმედებასა და სამუშაოს (ქსელის მშენებლობის, აღრიცხვიანობის მოწყობის, საცხოვრებელ სადგომში ბუნებრივი გაზის მიღების ერთი წერტილის მოწყობისა და ბუნებრივი გაზით მომარაგების დაწყების ჩათვლით.) ბუნებრივი გაზის მიღების ერთზე მეტი წერტილის მოწყობა ამ მუხლით არ რეგულირდება და წარმოადგენს დამოუკიდებელ მოთხოვნას. მიერთების შედეგად შექმნილი გამანაწილებელი ქსელი (მათ შორის აღრიცხვის კვანძი და სხვა საშუალებები) წარმოადგენს განაწილების ლიცენზიატის საკუთრებას, ხოლო, მომხმარებლის კუთვნილი ტერიტორიიდან ბუნებრივი გაზის მიღების წერტილის ჩათვლით ქსელი (შიდა ქსელი) წარმოადგენს მომხმარებლის საკუთრებას.

ამავე დადგენილების მეხუთე პუნქტში ვკითხულობთ, რომ: ახალი საყოფაცხოვრებო მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური (დღგ-ეს ჩათვლით), საცხოვრებელი სადგომის ერთ წერტილში ბუნებრივი გაზის მიღების შემდეგ, მისი არჩევანითა და ქვემოთ მოცემული პირობებით: ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, არაუმეტეს 600 ლარისა- ერთჯერადად ან განწილვადებული 24 თვის განმავლობაში, თვეში 25 ლარის ოდენობით. "ფასების ასეთმა გადანაწილებამ გამოიწვია დაბნეულობა მოსახლეობაში. კომპანია "სოკარ ჯორჯია გაზის" წარმომადგენლებმა ცვლილების შესახებ მომავალ აბონენტებს სატელეფონო ზარით აუწყეს, რამაც პროტესტი და უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ამბობენ, რომ ერთი წერტილის დამონტაჟება 600 ლარი არ ღირდა და ასეთი ფასის მატება აფიორად აღიქვეს. აქამდე აბონენტებს უხსნიდნენ, რომ შეიძლება ერთი წერტილის მონტაჟი 600 ლარზე ნაკლები დაუჯდეთ, თუმცა ორ კვირაში უთხრეს, რომ ფასი მომატებულია. ჩვენი რესპოდენტი ნათია ცხრასართულიანი კორპუსის მობინადრეა, მას გაზის შეყვანისათვის უკვე გადახდილი აქვს პროექტისა და საერთო ხარჯების თანხა 73 ლარი, მაგრამ მომატებული ფასის გამო თავს იკავებს გაზის შეყვანაზე; "დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ გაზის შეყვანის საფასური გაიზარდა, ვიცოდით, რომ განვადებით ერთი წერტილი 600 ლარამდე ჯდებოდა და დამატებითი წერტილისთვის 30 ლარამდე იქნებოდა დასამატებელი, ახლა კი გვითხრეს, რომ 600 ლარია პირდაპირ გადასახდელი, ხოლო დამატებითი წერტილებისთვის თავიდან უნდა შედგეს პროექტი და თანხებიც მეტია გადასახდელი, ეს უსამართლობაა, უკვე ამდენი თანხა შევაგროვეთ და ხალხი უარს ამბობს ფასის გამო, ჩემს ოჯახში ყველა უმუშევარი ვართ, მხოლოდ ერთი პენსიონერია, როგორ უნდა დავფაროთ ამხელა ხარჯები. ნუთუ კარამდე მოსული გაზი ასე შორი უნდა იყოს ხალხისთვის, ან რა ხდება განვადებით ფასი რატომ არის აწეული, რა პროცენტს გვახდევინებენ? "-აინტერესებს ნათიას.

ჩვენ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ "სოკარ ჯორჯია გაზის" ფოთის ბიზნეს ცენტრის ახლად დანიშნულ მთავარ მენეჯერს ირაკლი გურგენიძეს. როგორც მან აგვიხსნა: "აბონენტებისთვის აქამდე არსებული ფასი შეცვლილი არ არის სოციალურ გაზე, ვგულისხმობ ერთ წერტილს, სერვისი "სოციალური გაზი" ნიშნავს ერთ წერტილს, ხოლო ერთ წერტილზე მეტი, უკვე არის კომერციული გაზი. დამატებითი წერტილისთვის თავიდანვე დგებოდა პროექტი და იყო დეკლარირებულიც, ასევე დგებოდა პროექტი სასურველი რაოდენობის წერტილებზეც. რადგან ჩვენი პასუხისმგებლობა არის სწორედ "სოციალურ გაზზე", ამიტომ ჩვენ დავადგინეთ, რომ ფასი არ აღემატებოდეს 600 ლარს, თუმცა განვადებით შეგვყავდა უფრო მეტ ფასიანიც, დამატებითი წერტილებით 601 დან 900 ლარამდე. მაგრამ ახალი დადგენილებით თუ ერთ წერტილზე მეტი შემოდის ეს უკვე არის სტანდარტული შეკვეთა და ძვირდება ფასიც. იყო პრეცენდენტი, როცა აბონენტმა მისცა შეკვეთა გაზის შემოყვანაზე არალიცენზიატ კომპანიას, მოურიგდა იაფად და გაუკეთა, შემდეგ კი ჩვენ უნდა მივიღოთ ექსპლუატაციაში და უსაფრთხოების ნორმებიც ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, რადგან იქ დამონტაჟებულია ჩვენი მრიცხველი. "

ვიდრე საკითხი ბოლომდე გაირკვევა მოსახლეობა მაქსიმალურად იკავებს თავს გაზის შეყვანისგან.

ანიკო დავითაია ასი წლისაა

მარი ჯავახია
ფოთი

ანიკო ალანია-დავითაია 100 წლის გახდა. იგი ერთი საუკუნის წინ, 1914 წლის 13 თებერვალს დაიბადა. წლების განმავლობაში დაწყებითი კლასის პედაგოგად მუშაობდა. ნამუშევარია ასევე ფოთის პორტში. მიუხედავად ასეთი საპატიო ასაკისა, თავს ახლაც მხნედ გრძნობს, თავისუფალ დროს კი კითხვაში ატარებს. როგორც თავად ამბობს, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც აქტიურად ადევნებს თვალს. გასულ დღეთა მოგონებებს ფოტოები უცოცხლებს. საკუთარ ასაკს კარგად გრძნობს, მაგრამ სიცოცხლეს შეხარის. ოჯახთან ყოფნა დიდ სიხარულს და სიამოვნებას ანიჭებს. შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს თავის განვლილ ცხოვრებაზე უყვება, როცა პედაგოგად მუშაობის დროს თავის მოსწავლეებს ერთმანეთის სიყვარულსა და ერთგულებას, მეგობრობას ასწავლიდა. უხუცეს ქალბატონს განსაკუთრებით უყვარს თავისი ქალაქი და ამაყობს, რომ ქალაქის ისტორიას ინახავს. ახსოვს ყველა ის მოვლენა, რომელიც ქალაქში ვითარდებოდა.

ამაგდარ ქალბატონს ბევრი მწუხარებაც აქვს გამოვლილი – შვილები, ორი ვაჟი გარდაეცვალა, მაგრამ ამ მწუხარებამაც ვერ გატეხა მისი ძლიერი სული. ქალიშვილს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს შეხარის. ყოველი დღის გათენებისათვის მადლობას სწირავს უფალს. მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა. არც ერთი სიძნელის წინაშე უკან არ დაუხევია და ამიტომაც არ რცხვენია უკან მიხედვის საუკუნის ქალბატონს. განა ბევრია ჩვენს ქალაქში ასეთი ასაკის ადამიანი, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ გამონახა დრო და საშუალება, მიელოცათ ამ საოცარი ქალბატონისთვის ასწლიანი იუბილე.

ჩვენი გაზეთის რედაქცია ჩვენი და ყველა ფოთელის სახელით ვულოცავთ ასეთ იუბილეს ქალბატონ ანიკოს და კიდევ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

დევნილებისთვის აპლიკაციების შევსების პროცესი დაიწყო

თეონა ჯანაშია
სენაკი

აპლიკაცია ეს ის განაცხადია, რომელიც ყველა იმ დევნილმა უნდა შეავსოს, რომელიც სახელმწიფოსგან ითხოვს ფართით დაკმაყოფილებას. ეს პროცესი უფრო ადრეც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დევნილთა ახალი მოწმობების გაცემის პროცესის შეფერხების გამო, 10 დეკემბრის ნაცვლად, მისი გაცემა 20 თებერვალს დაიწყო და 20 მარტამდე გაგრძელდება.

სენაკის დევნილთა განყოფილების უფროს ბუთხუზ ბადათურიას განმარტებით, აპლიკაციების გაცემის პროცესი, სავარაუდოდ, 20 თებერვლიდან 20 მარტამდე გაგრძელდება. სენაკში 1625 დევნილი ოჯახი ელოდება ფართის მიღებას. მაგრამ სენაკში ყოველგვარი რესურსი უკვე ამოწურულია და აქ მცხოვრებმა დევნილებმა ფართის მიღება ფოთში ან ზუგდიდში უნდა მოითხოვონ. არ არის ცნობილი, სააპლიკაციო კომისია სენაკში ჩამოვა თუ ამდენი დევნილი თავად უნდა ჩავიდეს ფოთში ან ზუგდიდში.

ჩვენ დავუკავშირდით ზუგდიდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-



რიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მოადგილეს ზურაბ გერგედავას. როგორც მან გვითხრა: „აპლიკაციების შევსების პროცესი უკვე დაიწყო. ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, სენაკელ დევნილებსაც ზუგდიდში, ან ფოთში მოუწევთ აპლიკაციების შევსება ფოთში ახლადაშენებული ბინების მოთხოვნით. შვიდი ბინაა ფოთში აშენებული. რა თქმა უნდა, რიგები იქნება, რადგან ზუგდიდშიც გაცილებით მეტი დევნილია სენაკთან შედარებით, ვინც ფართს ითხოვს". ამ ეტაპზე ჩვენი რესპოდენტი მცირე კომენტარით შემოიფარგლა, მაგრამ გვითხრა რომ სენაკში აპირებს ჩამოსვლას და დაგვპირდა ბევრ იმ საკითხზე საუბარს, რაც დევნილებს ეხებათ და აინტერესებთ. რაც შეეხება ჩასახლებული დევნილებისთვის ფართების დაკანონების პროცესს, ბუთხუზ გვარამიას განმარტებით, ეს პროცესიც უახლოეს მომავალში დაიწყება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ „ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲘ“

ᲙᲝᲓᲘ – 124

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ, ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ, �გᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲗ �გᲐᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲜ, ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲜ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ, ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�თᲔᲙᲐ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲬᲘ�გᲜᲐᲓᲘ ᲤᲝᲜᲓᲘᲗ, ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ, ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲘᲛᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲡ �გᲐᲓᲘᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲨᲘ, �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ, ᲡᲐᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲝ ᲝᲤᲘᲡᲔᲑᲨᲘ.

ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲘᲒᲔᲑᲔᲜ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲐᲡ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ:

ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲐᲢᲘ:

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐ

ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲐ (ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ)

ᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ (ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ)

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚ TEMPUS-ᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ 120-ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ. ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ – New European University ᲓᲐ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲝᲠᲛᲐ�გᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ **ᲛᲖᲘᲐ ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ** ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ. ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲗᲐᲜ, ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ �გᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ, ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ, ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ, ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲗᲐᲜ.

„ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲝᲑᲐ,” – ᲫᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘᲡ, ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲔᲡ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ. �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ „ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲘ” ᲔᲡᲐᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ – ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ. �გᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲓ. ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ – „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲖᲠᲓᲘᲗ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ”! – ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ“. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲛᲖᲘᲐ ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲕᲐᲙᲔ, ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲩᲘᲮᲘ №5Ა

ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ:

2 91 50 33; 2 10 58 75; 2 91 50 08

www.gorgasali.edu.ge Facebook: www.facebook.com/UniversityGorgasali

საარჩევნო კოდექსი პარლამენტმა უკვე მიიღო

,,ცვლილებები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, თუმცა სასურველი იქნებოდა კიდევ რამდენიმე საკითხი ასახულიყო კოდექსში,,

~saarCevno kodeqsSi~ Sesatani cvlilebebis proeqti parlamentma mesame mosmeniT 80 xmiT, erTxmad daamtkica. ramdenime principul sakiTxze, umravlesoba-umciresobasa da arasamTavrobo organizaciebs Soris SeTanxmeba moxerxda, Tumca, darCa sakiTxebi, romelic kodeqsSi ver aisaxa.
saarCevno kanonmdeblobis garda, cvlilebebi gaxorcielda ~moqalaqeTa politikuri gaerTianebebis Sesaxeb~ da ~mauwyeblobis Sesaxeb~ kanonebSi.
warmodgenili cvlilebebis ZiriTadi nawili adgilobrivi TviTmmarTvelobis arCevnebs exeba.

დამტკიცებულ პროექტში აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირების, თვითმმართველ თემში – გამგებლის, ხოლო თვითმმართველ ქალაქში – მერის პირდაპირი არჩევის წესია განსაზღვრული. მათ 50%-იანი საარჩევნო ბარიერით, ოთხი წლის ვადით აირჩევენ. ამავე ცვლილებებით, თვითმმართველი თემის საკრებულოს პროპორციული წესით ასარჩევ საკრებულოს წევრთა რაოდენობა 5-ით იზრდება და 15 ხდება.
ასევე, მუნიციპალიტეტების საკრებულოს პროპორციულ არჩევნებში საარჩევნო ბარიერი 4%-მდე მცირდება და თბილისის საკრებულოს პროპორციული არჩევნებისთვის დადგენილ საარჩევნო ბარიერს უთანაბრდება.
საარჩევნო სიების დაზუსტება მოხდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებულ პირთა ფოტოსურათების ციფრულ ფორმატში გადაყვანით და ფოტოსურათების ურთიერთშედარებით, ამომრჩეველთა გაორების გამოსარიცხად.
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირებისთვის და მათი არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მოხდება საარჩევნო უბნების ადაპტირება. წინასაარჩევნო რეკლამა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე სატელევიზიო დებატები უზრუნველყოფილი იქნება სურდო-თარგმანით.
ამასთან, უახლოეს დღეებში პარლამენტს საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი კიდევ ერთი ცვლილებების პროექტი წარედგინება. ახალი ცვლილებები საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ვერიფიკაციასთან და წინასაარჩევნო პერიოდში საბიუჯეტო სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.
interfraqciuli jgufis xelmZRvanelis, parlamentar zviad ZiZiguris ganmartebiT, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის საკითხი (ამომრჩევლის იდენტობის დადგენა) ცესკოს დადგენილებით უნდა განსაზღვრულიყო, მაგრამ ცესკოს რეკომენდაციაა, რომ საკითხი "საარჩევნო კოდექსში" აისახოს.
"ცესკოს აქვს შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რა შემთხვევაში უნდა მიეცეს საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველს და რა შემთხვევაში – არა. ვერიფიკაციის თაობაზე "საარჩევნო კოდექსში დამატებით იქნება ინიცირებული ცვლილებები", – აღნიშნა ძიძიგურმა.
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ირმა პავლიაშვილი მიიჩნევს, რომ კოდექსში შეტანილი ცვლილებები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, თუმცა არის კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელიც სასურველი იქნებოდა აღნიშნულ კოდექსში ასახულიყო:
"ყველაზე მნიშვნელოვანი საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებში მერებისა და გამგებლების არჩევისას დასაწესებელი ბარიერი იყო, რაზეც საბოლოოდ გადაწყდა, რომ 50 % იქნება. ამასთან, მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა მრავალმანდატიანი ოლქების დაკომპლექტება და მერებისა და გამგებლებისთვის ალტერნატიული კენჭისყრის შემოღება. ალტერნატიული კენჭისყრა თავის თავში ორ ტურს მოიცავს, სადაც მოხდებოდა პრეფერენციების დასმა ამომრჩევლების მხრიდან. შესაბამისად, ეს მეორე ტურების ალბათობას გამორიცხავდა. თუმცა, იმ შენიშვნების გათვალისწინება, რომელიც ძირეულად შეცვლიდა სისტემას და უფრო სამართლიანს გახდიდა, არ მოხდა. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება კოდექსში ისაა, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სამაგიდო სიები ფოტოსურათებით იქნება, რაც გაორებებს გამორიცხავს. საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული იყო, რომ ბიომეტრიული მონაცემებით უნდა მომხდარიყო ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტება და ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია განხორციელებულიყო. ის ამომრჩეველი კი, რომელიც ბიომეტრიულ რეგისტრაციას ვერ გაივლიდა, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიღებდა. ამ შემთხვევაში ცვლილებები განხორციელდა და ინიცირების დროს პროექტში განისაზღვრა, რომ მოხდება არა ბიომეტრიული ფოტოების გადაღება, არამედ, სერვისების განვითარების სახელმწიფო სააგენტო ბაზაში არსებულ ამომრჩეველთა უკანასკნელ ფოტოს გადაიყვანს ციფრულ ფორმატში და სიას დაერთვება. ეს კი გაორებებს გამორიცხავს. თუმცა, ეს იქნება მხოლოდ სამაგიდო ვერსიაში და არა საჯარო კედლის სიაში", – აღნიშნავს პავლიაშვილი და განმარტავს, რომ პრობლემა არც იმ ამომრჩევლებს შეექმნებათ, რომლებსაც პლასტიკური პირადობის მოწმობები არ აქვთ.
"იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა პროექტის პრეზენტაცია, რომელიც სპეციალური პროგრამის მეშვეობით გააციფრულებს ნებისმიერ ფოტოს, რაც ბაზაშია მითითებული. ძველი პირადობის ფოტოსაც კი გადაიყვანენ ციფრულ ფორმატში. ამის შემდეგ ჩაერთვება უკვე ადამიანური ფაქტორი, კორექტორები შეამოწმებენ ფოტოსურათებს და გამორიცხავენ გაორებას. მომდევნო ეტაპზე ტერიტორიული ორგანოები გადაამოწმებენ სიას და აღმოჩენის შემთხვევაში, გაორებას გააბათილებენ. როგორც აგვიხსნეს, გაციფრულების პროცესში სწორედ ბიომეტრიულ მონაცემებს მიექცევა ყურადღება, ყურებს, ნიკაპის მოყვანილობას, თვალებს შორის მანძილს და ა.შ. ერთადერთი განსხვავება ამ შემთხვევაში ის არის, რომ ბიომეტრიული სიების შედგენისას დამატებითი მოთხოვნა იყო, რომ ყოფილიყო წინასწარი რეგისტრაცია, რაც ახლა გამორიცხულია", – ამბობს პავლიაშვილი.
ამ ცვლილებებთან ერთად, იურისტი კიდევ რამდენიმე საკითხს გამოყოფს, რასაც დადებითად აფასებს.
"მნიშვნელოვანია ასევე, პოლიციის თანამშრომლებისთვის ხმის მიცემის საკითხის განსაზღვრა. ეს ეხება შსს-ს თანამშრომლებს (გასამხედროებულ ნაწილებს), რომელთა რეგისტრაციის ადგილი განსხვავდება დისლოკაციის ადგილისგან. მათ არ აქვთ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის მიღების, ასევე საკრებულოების და მერების არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. გარკვეულწილად, ეს ლოგიკურიც არის და მათი უფლებები არ იზღუდება, რადგან თუ ერთი ან რამდენიმე წელი არ ვიმყოფები ჩემი რეგისტრაციის ადგილზე, მაშინ არ უნდა მივიღო მონაწილეობა იმ თვითმმართველობის დაკომპლექტებაში, სადაც არა ვარ. თუ პირის რეგისტრაციის და დისლოკაციის ადგილი ერთმანეთს ემთხვევა, ის არჩევნებში მონაწილეობას ჩვეულებრივ მიიღებს. გარდა აღნიშნულისა, კოდექსში კიდევ რამდენიმე ცვლილება შევიდა, რაც ეხება საარჩევნო უბანში ბეჭდებზე ნაკვეთურების გაუქმებას, ამასთან დაწესდა მედიარეგულაციები, რაც უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებას ეხება. ასევე, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც 3%-ზე მეტ ხმას დააგროვებს, ერთჯერად დაფინანსებას – 500 ათას ლარს მიიღებს.
ცვლილებებია დავების განხილვასთან დაკავშირებით: საჩივარი აქამდე 3 დღის ვადაში განიხილებოდა, შემდგომ ოლქში იგზავნებოდა. ახლა ორი დღის გასაჩივრების ვადაა კოდექსში და ცესკო-ს ინიციატივით, 2 დღე დაემატა განხილვისთვის", – აღნიშნავს პავლიაშვილი.
რაც შეეხება საკითხს, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება მერობის კანდიდატი ასევე საკრებულოს პირველი ნომერი იყოს, იურისტი აცხადებს, რომ ეს შეზღუდვა კანონიერი და მათთვის მისაღებია.
"როდესაც ეს საკითხი შევაფასეთ, მივიჩნიეთ, რომ ეს ლოგიკური შეზღუდვა იყო. თავდაპირველად, შეზღუდვა მხოლოდ თბილისის მერის არჩევისას წესდებოდა – მერობის კანდიდატი საკრებულოს პირველ ნომრადაც კენჭს ვერ იყრიდა. რომ არ მოხდეს ერთი და იგივე კანდიდატურის დაყენება, ლოგიკური შეზღუდვაა იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ გამგებელი/მერი და საკრებულო სხვადასხვა ორგანოებია – აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი.
მნიშვნელოვანი იქნებოდა მერების და გამგებლების კანდიდატურის დაყენების უფლება საინიციატივო ჯგუფებსაც მისცემოდა, რაც, სამწუხაროდ, კანონმდებლებმა არ გაითვალისწინეს. ახლა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას და საარჩევნო ბლოკს აქვს კანდიდატურის წარდგენის უფლება. თუმცა, ეს შეზღუდვა საკრებულოზე არ ვრცელდება და საინიციატივო ჯგუფს იქ შეუძლია დამოუკიდებელი კანდიდატურის დაყენება. ეს საკითხი ვენეციის კომისიის დასკვნაშიც იყო წარმოდგენილი, მაგრამ ამის გათვალისწინება არ მოხდა", – აცხადებს პავლიაშვილი.
შეგახსენებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღად საქართველოს პრეზიდენტმა 15 ივნისი დაასახელა, თუმცა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, მის დამტკიცებამდე და პრეზიდენტის ხელმოწერამდე თარიღი ოფიციალურად დანიშნული არ არის. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ინიშნება საკრებულოს უფლებამოსილების ამოწურვამდე არაუგვიანეს 60 დღისა. ეს ვადა კი 17 აპრილს იწურება.

მოამზადა საქართველოს მონიტორინგის ცენტრმა (GMMC),
ფონდის – "ღია საზოგადოება – საქართველოს" მიერ
დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.
ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
ფონდის მოსაზრებებს.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

რუბრიკა

მოსწავლეები გვწერენ...

usiyvarulod
mze ar sufevs cis kamaraze
sio ar dahqris, tye ar krTeba
sasixarulod
usiyvarulod ar arsebobs arc silamaze
arc ukvdaveba ar arsebobs
usiyvarulod...

გალაქტიონის ამ სიტყვების წაკითხვისთანავე მიჩნდება სურვილი ავხსნა, თუ რა არის სიყვარული?
...და მართლაც, რა არის სიყვარული? სიყვარული არის ლამაზი, სუფთა, უმანკო, უკეთილშობილესი გრძნობა, ყველაზე დიდი ნიჭი რაც ღმერთმა ადამიანს უბოძა. სიყვარული ისეთი რამაა, მისი აღწერა ენით შეუძლებელია. როდესაც ვიღაც გიყვარს სამყარო სხვანაირი გეჩვენება, თვალები გიბრწყინავს და გონია, რომ ამქვეყნად შენზე ბედნიერი არავინაა. სიყვარული ისეთი გრძნობაა, რომლის დამალვაც თითქმის შეუძლებელი მგონია. ის ადამიანი, რომელიც გიყვარს, შენთვის მზეა, დღე იწყება მასზე ფიქრით, მასზე საუბარი შენთვის ყველაზე სასურველი თემაა. ამ გრძნობას გაფრთხილება და მოვლა სჭირდება. ვფიქრობ, რომ პირველი სიყვარული ყველაზე კარგი და დაუვიწყარია, ის ყველასგან და ყველაფრისგან განსხვავებულია. არა აქვს მნიშვნელობა, როდის გეწვევა ის, თუმცა ბავშვობაში განცდილი სულ სხვანაირია, ამ დროს ხომ ადამიანი ყველაფერს მძაფრად და სხვა მღელვარებით აღიქვამს. ალბათ საცოდავია ის ადამიანი, რომელიც ამ გრძნობას ერთხელ მაინც არ გამოცდის. მინდა ყველას ვუსურვო ცხოვრებაში დიდი სიყვარული ეწვიოთ და ბედნიერები იყვნენ.

Aana,
me - 9 klasi

როგორ დასრულდება დავა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასა და დევნილ მოსახლეობას შორის?

ელზა შონია
ფოთი

რამდენიმე დღის წინ ფოთის ახალი რაიონის დევნილებსა და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას შორის დავა დაიწყო. საქმე ეხება ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებს, ოქროს ტბაზე იგეგმება სათევზაო, საპიკნიკე ადგილების მოწყობა. სამუშაოები ერთ თვეში უნდა დასრულდეს. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია დევნილების პროტესტს არ ეთანხმება და კომპრომისზე წასვლას არ აპირებს. დევნილები ითხოვენ გზის განთავისუფლებას, ტერიტორიაზე შემოვლებული ღობე, რომელიც აქამდე არ არსებობდა კეტავს გზას, რომლითაც ახალი რაიონის მოსახლეობა სარგებლობდა. ამ ბილიკით ბავშვები გადაჰყავდათ საბავშვო ბაღსა და სკოლაში. მოსახლეობა ითხოვს დაუტოვონ ნახევარი მეტრის სიგანის ბილიკი, რაზეც ადმინისტრაცია უარს აცხადებს. ეროვნული პარკი მიეკუთვნება დაცული ტერიტორიების კატეგორიას და არ შეიძლება იქ თავისუფლად გადაადგილება. „რომლის შემოღობვაც მიმდინარეობს არის კოლხეთის ეროვნული პარკის. ჩვენს ტერიტორიაზე, სადაც იყო მავთულხლართებიანი ღობე მის ნაცვლად კეთდება ბეტონის. აღნიშნულ ტერიტორიას აქვს ერთი ოფიციალური შემოსასვლელი, საიდანაც არავის არ ეკრძალება შემოსვლა, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება შემოვიდეს, დაათვალიეროს ტერიტორია. იმის გამო არ კეთდება ეს, რომ ვინმე ვერ შემოვიდეს. საზღვრები დაცულია, ზუსტად ისე, როგორც იყო. ღობე აქ სულ იყო მავთულხლართებით, რომელიც შემდეგ მოიშალა“-განგვიმარტა ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების ინსპექტორმა გელა ინგოროყვამ.
განაწყენებულ მოსახლეობას სხვა მოსაზრება აქვს და თვლიან, რომ ამ ღობეს არაფერი აქვს საერთო ტერიტორიის დაცვასთან და საქმე კერძო ინტერესებს ეხება. “ ჩვენ ამ კედლის აშენებას ვაპროტესტებთ, რადგან მთელი ახალი რაიონში დასახლებული 1200 ოჯახი სარგებლობდა ამ პატარა ბილიკით, დაყავთ ბავშვები ბაღში, დადიან ზღვაზე, უამრავი ადამიანი სარგებლობს ამ გზით, ადმინისტრაცია გვეუბნება ეს ჩვენი საკუთრებაა და რასაც გვინდა იმას ავაშენებთო, აკეთებენ სანაპიროს, უკეტავენ გზას ხალხს, ვიყავი დირექტორთან და ვთხოვე ადამიანურად ნახევარი მეტრი სიგანის გზის დატოვება. უარი მითხრა, თქვენაირი ხალხისთვის კომპრომისზე არ წამოვალ, ირგვლივ ყველაფერი გაანადგურეთო.”– გვითხრა ახალ რაიონში მცხოვრებმა ნაზი ჩიხრაძემ.
მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დევნილები აქციებით იმუქრებიან. “ჩვენ ყველანი ვაპროტესტებთ ამ კედლის აშენებას, მეპატრონეს შეეძლო სამი მეტრის იქით აეშენებინა ეს კედელი და ხალხისთვის ბილიკი დაეტოვებინა. უკანონობაა ეს და ამ სამ მეტრში ჩვენ გვქონდა უფლება ეს გზა ყოფილიყო“ - გვითხრა დევნილმა მზია კოპალიანმა.
კოლხეთის ეროვნული პარკის დირექტორის ზურაბ ჯიბლაძის ინფორმაციით უნდა მოხდეს პარკის მოწესრიგება: “ უნდა მოეწყოს სეზონისთვის სასტუმრო, გაკეთდეს კაფეტერია, იმის გამო, რომ აქ უცხო პირები არ შემოვიდნენ, ვაკეთებთ ღობეს. შარშან გვქონდა შემთხვევა, რომ გაიძარცვა საწყობები, მოიპარეს მოტორი, ნავი. ბილიკი, რომ დარჩეს არის მოძრაობა, დალევა, ხმაური, რაც ტურისტებს უქმნის არადასასვენებელ გარემოს. იყო შემთხვევა, რომ კარავში შევიდნენ ღამით, რაც არასასურველია” - გვითხრა ჯიბლაძემ.
მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად ეროვნული პარკის ადმინისტრაცია განაგრძობს ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და შესაბამისად ბეტონით შემოღობვას აგრძელებს. როგორც თავად ხსნიან უსაფრთხოების მიზნით, რომ ტურისტებმა თავი იგრძნონ უსაფრთხო, მშვიდ და მყუდრო გარემოში.

სპორტი

სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატი ჭადრაკში

მარი ჯავახია
ფოთი

ზუგდიდში ჭადრაკში დასრულდა 8 - 12 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი. მასში მონაწილეობდა რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების 70-მდე მოჭადრაკე. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად გაიმართა. საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მოიპოვებენ საქართველოს შესაბამისი ასაკის ჩემპიონატების საგზურებს.
დასრულდა რეგიონის ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში 8, 12 და 16 წლის ჭაბუკთა და

გოგონათა შორის. საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: 8 წლის ჭაბუკთა შორის 1- თეიმურაზ კვიკვინია (ხობი), 2 - ლაშა არველაძე (ფოთი), 3 - ნიკა ბუკია (ხობი). 8 წლის გოგონები 1 - ანა-ვიქტორია კვაშილავა (ფოთი), 2 - ნია დანელია (ფოთი), 3 - ლიზი კაკალია (ფოთი). 12 წლის ჭაბუკები 1 - აკაკი ყალიჩავა (ფოთი), 2 - ნიკა წიწილაშვილი (ფოთი), 3 - ალექსი შურღაია (სენაკი). 12 წლის გოგონები 1 - ელენე წოწონავა (ფოთი), 2 - ანა კვიკვინია (ხობი), 3 - ნინო სოლომონია (ფოთი). 16 წლის ჭაბუკები 1 - გიორგი ლატარია (ხობი), 2 - ომარ ზარგინავა (ფოთი), 3 - ლუკა შამუგია (ხობი). 16 წლის გოგონები 1 - ანი ჭანტურია (ფოთი), 2 - მარიამ დოლიძე (ფოთი).

R

განცხადება

საქართველოში არსებული არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარება იმგვარი პრობლემაა, რომელზეც ერთნაირად უნდა ფიქრობდეს და ზრუნავდეს ხელისუფლება, ბიზნეს სექტორი, საზოგადოება, რადგან ქვეყნის ძლიერება უპირველესად ჯანსაღი და სრულყოფილი ახალი თაობაა.

წლის დასაწყისში ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ეკა ბესელიას ინიციატივა და შესაბამისი მიმართვა ფოთში მომუშავე კომპანიებისადმი, რათა ისინი შესაძლებლობების ფარგლებში დახმარებოდნენ მრავალშვილიან თანამშრომელთა ოჯახებს, სრულიად გაიზიარა ფოთის პორტის ოპერატორმა კომპანიამ „ბი ენდ პი”-მ. პირველი თებერვლიდან ამ კომპანიის სამ მრავალშვილიან თანამშრომელს დაენიშნა ყოველთვიური დანამატი ხელფასზე 100 ლარის ოდენობით. დეპუტატის ინიციატივას გამოეხმაურა აგრეთვე კომპანია „პეისი” ომელმაც ქ-ნ ეკას რეკომენდაციით საკონტეინერო ტერმინალზე დაასაქმა თერთმეტი შვილის მამა და დაუნიშნა ყოველთვიური დანამატი ხელფასზე 200 ლარის ოდენობით.

იმედია „ბი ენდ პი”-ს და „პეისი”-ს ეს ნაბიჯი მაგალითს მისცემს სხვა კომპანიებს და საქმიან წრეებს დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღების საქმეში წვლილის შესატანად.

სასარგებლო რჩევები

მთვრალი მამაკაცი ავტობუსში ასვლას ცდილობს. მგზავრებმა სიცილი დააყარეს:
– იცინეთ , იცინეთ – გაბრაზდა მთვრალი,
– ვნახოთ ბოლოს ვინ გაიცინებს: მე ავტობუსუს მძღოლი ვარ! ..

****

- არ გრცხვენიათ, ქუჩაში რომ მათხოვრობთ?
- აბა, რას მირჩევთ, ოფისი გავხსნა?

****

- ძვირფასო, ექიმმა მითხრა, რომ დიდი-დიდი 8 საათიღა დამრჩა სიცოცხლე. მოდი, წავიდეთ საუკეთესო რესტორანში, მერე სასტუმროში – ეუბნება ქმარი ცოლს.
- ჰო, შენ რა გენაღვლება, დილით ასადგომი არ იქნები!

****

– სასტუმროში მე–100 ნომერში მომათავსეს, რომელსაც ერთიანი წაშლილი ჰქონდა და მთელი ღამე მიკაკუნებდნენ, დროზე გამოდი, ჩვენც გვინდაო

****

რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი. – ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.
- მომენატრა არსება, რომელიც პირს იმიტომ არ აღებს, რომ ფული მთხოვოს.

****

სვანი ზის კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე და წიგნს კითხულობს. ჰკითხეს:
– აქ რატომ კითხულობ?
– უმაღლესი განათლება უნდა მივიღო.

ეს საინტერესოა

****

მობილური ტელეფონები-13000 ცალი, ქოლგები 11000 ცალი, საფულეები 11000ცალი, საკრედიტო ბარათები- 10500ცალი, ჩანთა- 5 ათასი, სათვალეები-7ათასი- ეს ყველაფერი ლონდონის დაკარგული ნივთების ბიუროში ინახება.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

პირველი ფიჭური ტელეფონი ფირმა "მოტოროლამ" დაამზადა.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

მხოლოდ დედალი ციცინათელები ანათებენ.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

ყინვაში მობილური ტელეფონის ბატარეა ჩვეულებრივზე ადრე ჯდება.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

სასკოლო ზარი პლატონმა გამოიგონა.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

მადრიდის სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონი 75 348 მაყურებელს იტევს.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

სიტყვა "კაიფი" არაბული წარმოშობისაა და სადილის შემდეგ დასვენებას, სასიამოვნო უსაქმურობას ნიშნავს.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

ზაქარია ფალიაშვილი სარწმუნოებით კათოლიკე იყო.

* * * * * * * * * * * * * * * * * * *

ამქვეყნად ყველაზე სწრაფად მადლი ძველდება.

ანეკდოტები

მთვრალი მამაკაცი ავტობუსში ასვლას ცდილობს. მგზავრებმა სიცილი დააყარეს:
– იცინეთ , იცინეთ – გაბრაზდა მთვრალი,
– ვნახოთ ბოლოს ვინ გაიცინებს: მე ავტობუსუს მძღოლი ვარ! ..

****

- არ გრცხვენიათ, ქუჩაში რომ მათხოვრობთ?
- აბა, რას მირჩევთ, ოფისი გავხსნა?

****

- ძვირფასო, ექიმმა მითხრა, რომ დიდი-დიდი 8 საათიღა დამრჩა სიცოცხლე. მოდი, წავიდეთ საუკეთესო რესტორანში, მერე სასტუმროში – ეუბნება ქმარი ცოლს.
- ჰო, შენ რა გენაღვლება, დილით ასადგომი არ იქნები!

****

– სასტუმროში მე–100 ნომერში მომათავსეს, რომელსაც ერთიანი წაშლილი ჰქონდა და მთელი ღამე მიკაკუნებდნენ, დროზე გამოდი, ჩვენც გვინდაო

****

რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი. – ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.
- მომენატრა არსება, რომელიც პირს იმიტომ არ აღებს, რომ ფული მთხოვოს.

****

სვანი ზის კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე და წიგნს კითხულობს. ჰკითხეს:
– აქ რატომ კითხულობ?
– უმაღლესი განათლება უნდა მივიღო.

****

მეგრელმა და გურულმა პლაჟზე ნახეს განცხადება: «ვინც დამხრჩვალს გადაარჩენს, პრემია 50 ლარი» მეგრელი ეუბნება:
მიდი, ბიჭო, ჩახტი ახლა, ვითომ იხრჩობი, მე გადაგარჩენ და ფულს ვიშოვით. გურული მართლაც ჩახტა და ყვირის:
-მიშველეთ, მიშველეეთ! მეგრელმა დაუძახა:
-ბიჭო, ნუ ყვირიხარ და ჩეიძირე, აქ წერია «ტრუპის» ამოყვანა ასი ლარიო.

****

კახელი ეუბნება მეგრელს რა არის ეს მეგრელები რბილი ლ-თი რო ლაპარაკობთო, ორი მეგრელი რო შეხვდება ერთმანეთს მეგრულად რო იწყებენ ლაპარაკსო, მეგრელმა უსმინა და -ბიჯოო კახელებმა ერთმანეთს ერთი რამე ვერ შეუნახეთოოო.
კახელმა: რა ვერ შეუნახეთ ერთმანეთსო
მეგრელი: აბა ვირმა გااااბაზრაო

gazeTis xelmomwerTa sayuradRebod!
ერთი ნომრის ღირებულება
ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს დისტრიბუტორად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 341417,

მთავარი თემა სამეგრელოში TQVENI PROBLEMEBIS KVALDAKVAL

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.